საქმე №2/5430-06
330230904021682

5184767799464

www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

05.06.2019 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თამარ ბურჯანაძე

განმცხადებელი / მოვალე - შპს ,,ღვინის ქარხანა ახაშენი"

მეურვე - აღსრულების ეროვნული ბიურო

მოთხოვნა - გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს ,,ღვინის ქარხანა ახაშენი"-ს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის გაუქმების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე N2/5430-16 - შპს ,,ღვინის ქარხანა ახაშენი"-ს გაკოტრების შესახებ.

გაკოტრების მმართველი სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს მიერ 2019 წლის 29 მაისს წარმოდგენილ იქნა საბოლოო ანგარიში, რომლითაც გაკოტრების მმართველმა მოითხოვა შპს ,,ღვინის ქარხანა ახაშენი"-ს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება და სამეწარმეო რეესტრში მისი რეგისტრაციის გაუქმება.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდება გაკოტრების მმართველის მიერ სამეურვეო ქონების რეალიზაციისა და რეალიზაციით მიღებული თანხის ამ კანონის შესაბამისად განაწილებისთანავე.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სამეურვეო ქონების რეალიზაციის შემდეგ, გაკოტრების მმართველი ადგენს მოვალის გაკოტრების ანგარიშს, რომელისაც ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგენს კრედიტორებსა და სასამართლოს.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების დასრულებისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულ სისტემაში.

სასამართლო მიიჩნევს, რომ გაკოტრების მმართველი სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს 2019 წლის 29 მაისის შუამდგომლობის საფუძვლზე მოწვეულ უნდა იქნეს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: ა)გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშის მოსმენა; ბ)შპს ,,ალგეთი პირველი" -ს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საკითხის განხილვა

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 27-ე 42-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნეს **2019 წლის 24 ივნისს, 15:00 საათზე** თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) **სხდომის დარბაზი №63** შემდეგი დღის წესრიგით:

- გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშის მოსმენა;
- შპს ,,ღვინის ქარხანა ახაშენი"-ს გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების საკითხის განხილვა;

2. განჩინება გამოქვეყნდეს ,,საკანონმდებლო მაცნე'-ში', სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე **www.tcc.gov.ge.**

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ბურჯანაძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=•••••• ••••••••• ••••••••• •••• •••••••••• •••••••••